11648/3-53/21 2 26112021

11648/3-53/21
26-11-2021

სახელმწიფო სერვისების განვითარების

სააგენტოს

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის საფუძველზე, გთხოვთ, მომაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია:

1. 2021 წელს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის რამდენმა მოქალაქემ მიმართა სამოქალაქო სერვისების განვითარების სააგენტოს საქართველოში ბინადრობის მიღების მოთხოვნით.
2. 2021 წელს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის რამდენ მოქალაქეს ეთქვა უარი ბინადრობის მიღებაზე და რამდენი დაკმაყოფილდა.
3. 2021 წელს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის რამდენ მოქალაქეზე გაიცა საიმიგრაციო D1 კატეგორიის ვიზა (სამუშაო ვიზა) და რამდენს ეთქვა უარი.

გთხოვთ, აღნიშნული ინფორმაცია მომაწოდოთ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ ვადაში.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
თამარ კორძაია

თბილისი 0118, რუსთაველის გამზირი № 8, საქართველოს პარლამენტის სასახლე
ტელეფონი: (995 32) 2281679. ელ. ფოსტა: contact@parliament.ge

საქართველოს იუსტიციის მინისტრი

საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გორგასლის ქ.24 ა. ტელ.: 2 40–51–48, 2 40-58-36; ელ.ფოსტა: info@justice.gov.ge

KA010167676940121

№16150

10 / დეკემბერი / 2021 წ.

საქართველოს პარლამენტის წევრს,
ქალბატონ თამარ კორძაის

ქალბატონო თამარ,

თქვენი 2021 წლის 26 ნოემბრის №11648/3-53/21 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ, სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ მონაცემთა ერთიანი ელექტრონული ბაზის 2021 წლის 3 დეკემბრის მონაცემებით, 2021 წლის პირველი იანვრიდან 2021 წლის 26 ნოემბრამდე პერიოდში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მოქალაქეების მიერ ბინადრობის ნებართვის მიღების თაობაზე წარდგენილი განაცხადებიდან დაკმაყოფილდა 1137, უარით დასრულდა 23 მოთხოვნა.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

მინისტრი

რატი ბრეგაძე